ბროლად ქცეული მოლოდინი

ძნელია ასეთ მატჩზე წერა.

თვალწინ ერთთავად მაღლა შემართული ბროლის თასი გიტრიალებს, ქართული დინამოელების ბედნიერი და დაღლილი სახეები, საპატიო წრე სარბენ ბილიკზე, ლუჟნიკის მოგუგუნე ტრიბუნა და ხელების ტყე, თითოეული ფეხბურთელის გულში ჩასაკრავად რომ არის მზად.

ძნელია ასეთ მატჩზე წერა. ყოველი სიტყვის შემდეგ გეჩვენება, რომ ყველაზე მთავარი, ის, რასაც ამდენი ენერგია და ნერვები შეეწირა, ხელიდან გისხლტება, გეჩვენება, რომ მაინც ვერ იტყვი იმას, რაც მინდორზე ხდებოდა, რაც იმ დღეს განიცადა ლუჟნიკში მოსულმა ქართველმა კაცმა, რაც ასე აღელვებდა ტელევიზორებთან მიმსხდარ ასიათასობით გულშემატკივარსა და არაგულშემატკივარს, ქალსა და კაცს.

რით უნდა დაიწყო? როგორ დაიწყო? იმ დრამატული წამებით 120–წუთიან მომქანცველ ბრძოლას რომ მოჰყვა! შეხვედრის არბიტრის სტუპარის სასტვენის ხმით უკანასკნელ სათასო ორთაბრძოლისკენ რომ მოუხმო ორ ძველ მეტოქე–მეგობარს? იქნებ იმ უცნობი, მოსკოვში მცხოვრები ქართველი კაცით, მატჩის შემდეგ ხელისგულებში რომ მალავდა სიხარულის ცრემლს?

ფინალური შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მოსკოვის “დინამოს” ყოფილ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ალექსანდრე სევიდოვს შევხვდი, საუბარი სასპარტაკიადო ტურნირით დავიწყეთ.

– რა თქმა უნდა, არის უარყოფითი მხარეები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მკაცრად რეგლამენტირებული ტურნირი ბევრ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ფეხბურთს. გამოჩნდა ახალი სახელები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეჯიბრების ასეთ შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება თითქმის იმეორებს ევროპისა და მსოფლიო ჩეპიონატების რეგლამენტს და ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

თანამოსაუბრეს ვახსენებ, რომ თბილისის “დინამო” თითქმის მთელი თვე მოწყვეტილია საკუთარ ბაზას, რომ ეს მატჩი რიგით მეცხრეა მოსკოვში, რომ იმ გუნდებისაგან განსხვავებით, ვისაც პრიზიორთა შორის მოხვედრა ჰქონდა დაგეგმილი, მხოლოდ საქართველოს ნაკრები იბრძოდა ერთი საკლუბო გუნდით.

– რაც მართალია, მართალია, თუ ვინმე დაზარალდა ალბათ ისევ თქვენი გუნდი. მაგრამ რას იზამ. ესეც არ იყოს, მაღალი კლასის გუნდის ღირსება სწორედ ის არის, რომ მაშინ მოიკრიბოს ძალა, როცა ეს თითქმის შეუძლებელი ჩანს და მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოსკოველებს ზემოთქმულის გამო რაღაც უპირატესობაც კი აქვთ, მე მაინც მწამს თბილისის “დინამოსი”.

ტრიბუნაზე მაინც დამძიმებული გულით ავედი. ერთი უსიამო ტრადიცია უკვე დაირღვა 1976 წელს. მეორე… ხუთი ფინალური მატჩი მოსკოვის გუნდებთან გვქონდა ნათამაშები და იმის გამო იყო თუ ამისა, ხუთივეჯერ დავმარცხდით.

ბუნებრივია, მატჩისა და თასის ბედიც მინდორზე წყდება, მაგრამ ნაღდი იმედი მაშინ გაჩნდა, როცა ლუჟნიკის ტრიბუნას "დინამო, დინამომ" გადაუარა.

მახსენდება სკანდირება "დინამოს" თაობაზე ამტყდარი კამათი. ამ სახელწოდების ბევრი გუნდია საბჭოთა კავშირში და ეს ზოგჯერ უხერხულობას ქმნისო. მოსკოვში ამის მაგვარი არაფერი მომხდარა. ვინც კი თუნდაც ერთხელ მაინც დასწრებია თბილისელთა თამაშს უცხო სტადიონზე, დაუფიქრებლად გეტყვით: ჩვენების "დინამო" უფრო ბოხია, უფრო ომახიანია და არავითარ გაუგებრობასა და ორაზროვნებას არ იწვევს – გინდა დავლური ეცეკვოს ქართველ კაცსო.

…მატჩის პირველი წუთები. მართალია უტევენ მასპინძლები, მაგრამ თბილისელთა თამაშსაც ეტყობა, რომ ის შეხვედრაში თითოეული ფეხბურთელი ყველაფერს გაიღებს. მე–10 წუთზე სტუმრები პირველად ურტყამენ კარში (ქორიძე). მე–14 წუთზე საპასუხო დარტყმა – ეს მახოვიკოვია. მერეც, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, მოსკოველთა მცველი არა ერთხელ და ორჯერ გადავა შეტევაზე, ყველა ეს, საკუთრი კარიდან დაწყებული იერიში სახიფათოა, ბევრი ვერაფერი სასიამოვნოა თბილისელებისთვის, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი კარგი და ცუდი მხარეები. საქმე ის არის, რომ დღეს მოსკოვის "დინამოს" ერთ–ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს. ზოგი მიზეზის (ტრავმების) გამო თბილისის "დინამოს" თავდასხმას უნდა გაუჭირდეს ამ კარგად შეკრული კედლის დაძლევა. ერთადერთი ღრეჩოს მოძებნა ალბათ ისევ მოსკოველთა დაცვის მარცხენა ფლანგზე შეიძლება – მახოვიკოვი მეტისმეტად ერთობა იერიშებით. 90 წუთი ასე ვერ ითამაშებ და თუ მასპინძელთა მცველი დაიღალა, მოსკოველთა იერიშებიც თანდათან უნდა შენელდეს.

მე–18 წუთი. ისევ მახოვიკოვი. ორი წუთის შემდეგ სიტუაცია მეორდება. არ ვიცი, თბილისელები შეგნებულად აძლევენ საშუალებას მახოვიკოვს, თუ თვითონ ფეხბურთელი ივიწყებს სიფრთხილეს. 23–მე წუთზე ისევ აგრესიულად თამაშობს მცველი, მაგრამ ამჯერად უკან დაბრუნებას ვეღარ ასწრებს. გუცაევი თითქოს ამას ელოდებოდა. უცბად გადმოდის გაშიშვლებულ ფლანგზე, ეუფლება ბურთს, მოხდენილად ატყუებს ორ მცველს, მერე ოდნავ ცენტრისკენ ინაცვლებს და ურტყამს. სამწუხაროდ, დარტყმა სუსტი გამოდგა.

ტერიტორიული უპირატესობა მოსკოველთა მხარეზეა. 30–ე წუთზე კოლესოვი კარგი პოზიციიდან აცილებს კარს. პირველი კუთხური თბილისელებმა 43–ე წუთზე ჩამოაწოდეს. კუთხურების საერთო ანგარიში კი (3:1) მოსკოველთა სასარგებლოდაა. თუმცა, საგანგაშო არაფერია. ყიფიანის სახით (დავითი ტრავმის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვეულ სპორტულ ფორმაში არ არის) მწვრთნელებმაც მშვენიერი რეზერვი შემოინახეს. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გამოაჩინა, რომ სწორედ ასე სჯობდა.

დაიწყო მეორე ტაიმი. პირველი 15 წუთი ბრძოლა თანაბარია. შესამჩნევად უკლო მახოვიკოვმა. და აი, აქ თბილისელთა რიგებში ხდება მნიშვნელოვანი გადაადგილება. ერთი შეხედვით ეს იძულებითი ცვლილება იყო. მუჯირმა ფეხი იტკინა, მაგრამ მანამდე სარბენ ბილიკზე უკვე იდგა კაკილაშვილი. იქვე ეჭირათ ფირფიტა №5. გოჩა მაჩაიძემ მუჯირის ადგილი დაიკავა, ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე გადმოინაცვლა დარასელიამ. მარჯვენა ფლანგი კი კაკილაშვილს მიენდო.

იქნებ ამ საერთო გამარჯვების ფონზე უადგილოც იყოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის სახით (იმ პირობით თუ სპორტსმენი გულმოდგინედ განაგრძობს ოსტატობის ამაღლებას) “დინამოს” კარგი ცვლა ეზრდება.

წუთის შემდეგ დარასელიას დარტყმული ბურთი ოდნავ ცდება მოსკოველთა კარს. აქედან მოყოლებული თამაშის სადავეებს თბილისელები ეუფლებიან. გონტარი გაჭირვებით იგერიებს მანუჩარ მაჩაიძისა და გუცაევის დარტყმებს. უფრო და უფრო აგრესიული ხდება გუცაევი. იერიშზე მიდის სულაქველიძე. ბოლო წუთები მეტოქეები ფრთხილობენ – ასეთ დროს გოლის გაშვება ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს.

მეორე 45 წუთში უპირატესობა თბილისის “დინამოს” მხარესაა. სტუმრებმა კუთხურებშიც დაჩაგრეს მეტოქე – 1:0.

არსებობს ცნობილი გამოთქმა, რომ მაღალი კლასის გუნდი სწორედ მეორე ტაიმს თამაშობს უკეთ. ასე თუ ისე, მატჩის წინ მოკიაფე იმედი საკმაოდ რეალურად იქცა.

ორი დამატებითი 15–წუთიანი ტაიმი მთელი მატჩის ლოგიკური გაგრძელება გამოდგა. მოსკოველები უხეშობენ. განსაკუთრებით გუცაევის შეჩერება უჭირთ. ჯარიმა, ისევ ჯარიმა. ტოლსტიხი უხეში თამაშისთვის გაფრთხილებას იღებს. კუთხურები: 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

და მაინც ფრე. ას ოცმა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

პენალტები. ორსაათიანი მომქანცველი ბრძოლის საფასურად წესდებას ორივე გუნდისთვის სასჯელი მოუგონებია. ეს მართლაც სასჯელია და კაცმა არ იცი, რა უფრო ძნელია – დარტყმა თუ დარტყმის მოლოდინში კარის ხაზზე დგომა.

ყიფიანი – გონტარი. იწყებენ თბილისელები.

დარტყმა ზუსტია, არანაკლებ ზუსტი და დროულია გონტარის ნახტომი.

მახოვიკოვი – გაბელია. იგივე კუთხე (მეკარისაგან მარცხნივ), ისეთივე ნახტომი 0:0.

გუცაევი.

თვალი მოვკარი მინდვრის შუაგულში მდგარ სამ ფეხბურთელს – მანუჩარ მაჩაიძე – ყიფიანი – ხინჩაგაშვილი. არც ერთი არ იყურება კარისკენ. შოთა ხინჩაგაშვილი მერეც, როცა ჩვენები ურტყამდნენ, ზურგშექცეული იდგა კარისკენ.

ბურთი იმავე მიმართულებით მიფრინავს, იქით გადახტა გონტარიც – 0:0.

მაქსიმენკოვი. დარტყმა. მოსკოველები დაწინაურდნენ – 1:0.

ჩივაძე, როგორც იქნა – 1:1. მაგრამ მასპინძლებს ერთი დარტყმა მარაგში აქვთ.

პეტრუშინის დარტყმა, გაბელიას თავგანწირული ნახტომი – 1:1 ყველაფერი თავიდან იწყება.

შემდეგმა ოთხმა პენალტმა – დარასელია–პავლენკო–შენგელია–ბუბნოვი – მიზანს მიაღწია – 3:3.

ამოიწურა პირველი სერია, ის გვარებიც, მწვრთნელებმა რომ დაასახელეს. ახლა თვითონ ფეხბურთელებმა უნდა გადაწყვიტონ – ვინ?

გასახდელში, მატჩის შემდეგ მ. მაჩაიძე: ხუთნიღა დავრჩით. პენალტი ოფიციალურ მატჩში არასდროს დამირტყამს. შოთა საერთოდ გაგვერიდა. გოჩას კუნთი ჰქონდა დაჭიმული, სულაქველიძემ – არასდროს დამირტყამს პენალტიო, კაკილაშვილს კი ამოდენა პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებდით. სხვა გზა არ მქონდა, ისევ მე უნდა დამერტყა.

მ. მაჩაიძე, გამორბენი, არის 4:3!

მოსკოველთა ბანაკშიც უარზე არიან. ტრიბუნებიდანაც კი მშვენივრად ჩანს, რომ ვერავინ ბედავს.

ტოლსტიხი. ისევ გათანაბრდა ანგარიში – 4:4.

მანუჩარი ძალით აყენებს ბალახზე დამჯდარ სულაქველიძეს. თენგიზი მძიმედ მიდის კარისკენ. მართლაც სასჯელია – მთელი გუნდი, მწვრთნელები, ტრიბუნა, ტელევიზორებთან სუნთქვაშეკრული თბილისი, ქუთაისი, მთელი საქართველო… მილიონი თვალი მისჩერებია თეთრ წერტილსა და იმ წერილზე გარინდებულ ბურთს.

დარტყმა. არის! – 5:4!

ახლა გაზაევის რიგია.

გასახდელში, მატჩის შემდეგ ვიღაცამ იხუმრა – გაზაევმა მარცხნივ აჩვენა, ბურთი კი მარჯვნივ დაარტყაო. გაბელია ვერაფერს ვხედავდიო ბურთის მეტს.

კაცმა არ იცის, რა უფრო ძნელია, დარტყმა თუ დარტყმის მოლოდინში კარის ხაზზე დგომა. და მაინც გაბელია! ეს ნახტომი წამის შემდეგ ბროლის თასად იქცა.. 120–წუთაინი ოფლის ღვრა, ნოდარ ახალკაცის, ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცის შრომა. მისი ახალგაზრდა კოლეგების კახი ასათიანისა და სერგო კუტივაძის შრომა, ბროლის თასად იქცა ფეხბურთის ქართველი მოყვარულის, გულშემატკივრისა და არაგულშემატკივრის, ქალისა და კაცის მოლოდინი.

ი. ბერიაშვილი.

მოსკოვი – თბილისი.

“ლელო”, 14 აგვისტო, 1979 წ.